სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

31.03.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

31 მარტს ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების დელეგაცია ელექტრონული ტენდერების სისტემის გასაცნობად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა ყირგიზეთი" - ადილბეკ შარშენბაევი და აიგულ აკმატჟანოვა, კოალიცია ,,გამჭვირვალობა განვითარებისთვის" (ტაჯიკეთი) - ტოჩინისო აზიზოვა, ,,პროფესიონალი კონსულტანტების კავშირი" (ტაჯიკეთი) - ანა შუკუროვა და ,,ანტიკორუფციული განათლების ცენტრი" (ტაჯიკეთი) - ალიაკბარ აბდულოევი.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა მანანა შურღულაიამ გამართა.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა კითხვა-პასუხის სესია. სტუმრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს შეკითხვებზე. მათი თქმით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა საერთაშორისოდ აღიარებულია, სურვილი ჰქონდათ, უფრო ახლოს გაცნობოდნენ შესყიდვების სისტემას და პროცედურებს, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას და სააგენტოს საქმიანობას. შეხვედრის ბოლოს დელეგაციის წევრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს სააგენტოს წარმომადგენლებს საინტერესო პრეზენტაციისა და გულთბილი შეხვედრისათვის.